ოქმი:**ო08. 3726142001**

თარიღი:**22/05/2026**

# ოქმი № 6

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 21 მაისი

ქ.ოზურგეთი

13:30 – 14:30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, თ. ქინქლაძე, ტ. ბარამიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ლ. კვაჭაძე, ლ. მესხი, დ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენლების პროექტის განხილვის შესახებ.

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

**თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე**

2.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

**თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე**

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

**თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე**

4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03)განხორციელების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

**თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე**

5. .„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წელს იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საიჯარო ქირის ამოღების მდგომარეობის შესახებ.

**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.
**მომხსენებელი: ბექა თოიძე**

**თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”, ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ, უპასუხა დასმულ შეკითხვებს. კომისიის წვრების მიერ გამოითქვა შენიშვნები მუნიციპალური ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით გაცემისას საწყისი ფასის ან ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე, ამისა და სხვა შენიშვნების გამო კომისიის წვრთა უმრავლესობით მიიღეს გადაწყვეტილება დადგენილების პროექტი შემდგომი სრულყოფის მიზნით დაბრუნებოდა ავტორს- მუნიციპალიტეტის მერიას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი გადამუშავებისა და სამართლებრივად უკეთ გამართვის მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი- ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავს საკითხს ყოველ წელს იხილავს და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, შემდეგ კომისიის წევრებს გაცნო საპრივატიზაციო ქონების ნუსხა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი, გეგმა კონკრეტულად კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ამხარი დაუჭირეს პრივატიზაციის გეგმის საკრებულოს მორიგ სხდომებზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ დაყენების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეოთხე საკითხი- მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტი მიღებული იყო გასულ წელს, მაგრამ დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ თანადაფინანსებაზე უარის თქმის გამო სრულად არ ამოქმედებულა, ახლანდელი პროექტით თანადამფინანსებელი იქნება მუნიციპალიტეტი და პროგრამის ამოქმედებას ხელი არ შეეშლება, იგი მნიშვნელოვან წილს შეიტანს მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარებაში. თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას -პროექტი წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეხუთე საკითხი-. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წელს იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საიჯარო ქირის ამორების მდგომარეობის შესახებ,

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას - ინფორმაცია წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის მეექვსე საკითხი- მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში, ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის შედეგები ძირითადი პარამეტრების მიხედვით, შემოსავლები და ხარჯები სახეობების მიხედვით, იმედი გამოთქვა, რომ წლიური ბიუჯეტის შესრულებას არსებული ტენდენციებით საფრთხე არ შეექმნება, უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს წინადადებას -ანგარიში წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

**გადაწყვიტეს:**

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი -საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი გადამუშავებისა და სამართლებრივად უკეთ გამართვის მიზნით.

2. N2,3,4 საკითხები წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

3. N5,6 საკითხები წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი